№ 99 21 მაისი, კვირა 1866—1878 21 მაისი, კვირა № 99

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტფილისი

რადგან დღეს და ხვალ სტამბის უქმეა (სამღვთო) და ასოთ-ამწყობლები და მბეჭდავები დღესასწაულობენ, ამის გამო სამშაბათს, 23 მაისს, გაზეთი ვერ გამოვა.

შეცდომა. გუშინდელს ნომერში მეტრანპაჟის შეცდომით გაზეთის სათაურში, შაბათისა და 20 მაისის ნაცვლად, დაბეჭდილია „პარასკევი, 20 მაისი“.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 19 მაისს. გაზეთს „Globe“-ში იწერებიან: გადაწყვეტილია, რომ კონგრესსი უნდა შეიკრიბოს. ინგლისი და რუსეთი შემდეგ პირობებზე დათანხმდნენ: ბოლგარია ორ ნაწილად იქნება გაყოფილი; ერთი ნაწილი ბალკანის მთების ჩრდილოეთით, რომელიც შეადგენს ცალკე სამთავროს; მეორე ბალკანის მთების სამხრეთით; ამის საზღვარი არ უნდა მივიდეს ეგეის ზღვამდინ, და ექვემდებარება ღუბერნატორს ქრისტიანთაგან ამორჩეულს. ინგლისი არ ეწინააღმდეგება ბესსარაბიის რუსეთისაგან შეძენას. რუსეთი, ინგლისის თხოვნით, ბაიაზეთს დაუთმობს ოსმალეთსა. ოსმალეთი უთმობს სპარსეთს კოტურის მაზრას.

საქართველო

ქუთაისის ბანკის კრებები

მესამე სხდომა 16 მაისს

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, საჭიროთ ვსცანით რამდენიმე მუხლი ბანკის წესდებისა შეიცვალოსო და ზოგი დაემატოსო, მაგრამ, რადგანაც ამისთანა ცვლილების მოხდენისათვის ახლა არ შეკრებილა საკმაო რიცხვი წევრებისა (წესდებით, ორი მესამედი დამფუძნებლებისა უნდა იქნესო), ამისათვის საჭიროა ეს საქმე მეორე კრებისათვის გადიდვას და ახლა ვუჩვენოთ ის საშუალება, რომ მომავალი კრება სრული იქნესო.

კრებამ გადაჰსწყვიტა ამ საქმის გადადება და საკუთარი უწყების გაგზავნა დამფუძნებელთადმი, რომ დანიშნულის კრებისათვის უსათუოთ მოვიდნენ.

შემდეგი კითხვა იყო: ბანკის დამფუძნებლები მოწოდებულნი იყვნენ ამას წინეთ იმ მიზნით, რომ მათ ჰქონებოდათ ჰსჯა ფულის შემოტანის ვადის გაგრძელებაზე იმ პირთათვის, რომელნიც ომში მონაწილეობას ჰღებულობენ, მაგრამ არ შეიკრიბენო, და ბანკის სამმართველომ ზედამხედველი კომიტეტის თანხმობით უკვე გაუგრძელა რამდენიმეთ ეს ვადა, რომ ვადაზე შემოსატანი ფული სარგებლით წარმოადგინონო. თქვენ როგორ ჰხედავთ ამ ჩვენ განკარგულებასაო?

კრებამ დაამტკიცა ეს განკარგულება.

სამუდამო თავნის შედგენა ორი სტიპენდიისათვის.

სამმართველოს ჰაზრი იყო, გადაედვათ ყოველ წელს (8 წლით) საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნულ ფულებიდამ ხუთას-ხუთასი მანეთი, რომელთაგან უნდა შეჰსდგეს თავნი, სტიპენდიისათვის მომცემი სარგებლისა. ზედამხედველი კომიტეტიც თანახმა იყო ამისი. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

ზედამხედველმა კომიტეტმა ითხოვა, მიეცეს მის განკარგულებაში 2,000 მანეთამდის მოულოდნელ ხარჯებისათვის-ბანკის საქმეების გამო, და რამდენი რას ზედ დაიხარჯება ამ ფულებიდამ, კრებამოხსენდება თავის დროზე. კრებამ მიიღო ეს წინადადება. და აგრეთვე ისიც, რომ ჩვენმა ბანკმა მონაწილეობა მიიღოს ბანკების წარმომადგენელთ კრებაში პეტერბურღში.

მოხსენება: ხაზინაში ფულების შენახვისათვის იქაურ ჩინოვნიკების დაჯილდოება. ამისათვის მოიხმაროს ხუთასი მანეთიო.

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე. ჯილდო იმისთანა კაცებს მიეცემათ, რომელთაც გამოიჩინეს ნამდვილი მზრუნველობა მათზედ მინდობილ საქმეშიო. ჩვენ უმაღლესათ ნაბოძები ფული გვქონდა; ეს ფული შევინახეთ ხაზინაში, მაგრამ აქამდის არ ვიცით—რამდენი სარგებლობა დაჰკარგვია იქ ჩვენს ფულს. როგორც უ. ბ. ლოლაბერიძის სიტყვიდგან ჰსჩანს, თუ ჩვენი უზრუნველობის გამო და თუ სხვა მიზეზით, 60 ათას მანეთამდის სარგებლობა დაჰკარგვია ჩვენს ფულს. ჩემის ჰაზრით, ჩვენ შეგვიძლიან მოვითხოვოთ სრულათ მოგვეცეს, რაც მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ გვიბოძა,—შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ იმასა და ჩვენს შუა მის ნაბოძებს არა მოეწიოს და წესიერათ ჩაგვბარდეს ხელში. მე ვთხოულობ, სანამ ნამდვილ გარემოებას არ შევიტყობთ, არავის არ მიეცეს არავითარი ჯილდო. კი, ხუთასი მანეთი დიდი არაფერია, ამით არც წავხდებით და არც გავკეთდებით, მაგრამ ჩვენს სიმართლეს ნუ დავკარგავთ და სასაცილოთ ნუ გავხდით ჩვენს თავს იმ კაცებისაგან, რომელთაც იქნება დაგვაკლეს რამე.

ჯილდოს გაცემა გადადვეს, სანამ ნამდვილნი ცნობანი შეკრებილნი არ იქნებიან იმაზედ, რის შასახებაც უ. ირ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობდა.

რა დანიშნულება მიეცეს ბანკის წმინდა სარგებელს, რომელიც გადადებულია საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლათ? ბანკის სამმართველოს და კომიტეტის ჰაზრი: სანამ ამ ფულებს რამე დანიშნულება მიეცემოდეს, მივასესხოთ სოფლებში გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა.

სამი წინადადება იყო შემოტანილი, თუ რაზედ მოეხმარათ წმინდა სარგებელი.

ა) ქალაქის საზოგადოებასთან საზიაროთ კრებისათვის და სამმართველოებისათვის საჭირო სახლის აშენება (წყაროთ იყო ნაჩვენები ამისათვის წმინდა სარგებელი ბანკისა და ფული, რომელიც ბანკის ძირითაც თავნს არ ეკუთვნის და თ. სიმონ აბაშიძეს ჰქონია მისესხებული),

ბ) ყმაწვილებისათვის მოსამზადებელი შკოლა საშუალ სასწავლებლებში შესასვლელათ, და

გ) წინადადება უ. პ. თუმანიშვილისა, რომელსაც შეუტანია ჰაზრი, რომ აზნაურობას საშინელი ბედი მოელის, ილუპებაო და რამე სპეციალური სასწავლებელი გავხსნათ და სტიპენდიები დავნიშნოთო.

უ. დ. ბაქრაძე. აბაშიძეზე მისესხებულ ფულებს (ეს ფულები ახლა ადახდილი ყოფილა) სხვაზე ვერაფერზე მოვიხმართ: ის არის ბანკის დასაარსებელი ფულების ნაწილი და უნდა შეეცვალოს ძირითად თავნს ბანკისას. არც წმინდა სარგებლის მისესხება მოხდება სოფლის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობაზედ; საჭიროა სხვა უფრო საიმედო ალაგას შევინახოთ, საიდამაც ყოველთვის მოგვცემენ, როცა საჭიროდ დაგვირჩება.

წმინდა სარგებლის შენახვის თაობაზე ამ ჰაზრისვე იყო უ. ბ. ხელთუფლიშვილიც.

უ. ბ. ლოლაბერიძე ამტკიცებდა, რომ უ. აბაშიძეს რომ ფული

ჰქონდა, წესდებით სულაც არ ეკუთვნის ძირითს თავნსაო. მისი მოხმარება ისე შეუძლიან საზოგადოებას, როგორც ისურვებსო. ჩემის ჰაზრით, უკეთესი იქნება ეს ფულები ძირითად თავნს არ მიათვალოთ და ცალკე გადადვათ, რომ ვინ იცის რა შემთხვევა იქნება და რა საჭიროება მოადგება საზოგადოებას, რომ მას შეეძლოს ძლიერ სასარგებლო დანიშნულება მისცეს ამ ფულებსო. რაც შეეხება სოფლის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ამხანაგობების საქმე კარგად მიდისო, მმართებლობაც საიმედოთ ჰსთვლისო, რის გამო ფულებსაც ასესხებს იმათ ერთის წლის მოქმედების შემდეგო, და მე ვფიქრობ, თამამად შეგვიძლია ჩვენც ვასესხოთ, თუ ვინმე მსურველი გამოჩნდება ამხანაგებთაგანიო. იმათგანაც შეგვიძლია დროზე ავიღოთ, რომ ჩვენს საჭიროებას არ მოვაკლდეთ, და ამხანაგობისათვისაც კეთილ საქმეს ვიქთო.

კრებამ გარდაჰსწყვიტა: წმინდა სარგებლის ფული, რომელიც საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულია, სანამ მისი დახარჯვა საჭირო არ იქნება, ვაიცეს გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობებზე ქუთაისის გუბერნიაში. თ. ს. აბაშიძისაგან ნასესხები ფული არ მიეთვალოს ძირითად თავნს.

სასწავლებლების დაფუძნების და სახლის აშენების წინადადებები შეამუშაოს ბანკის მმართველობამ და ზედამხედველ კომიტეტმა, რომელნიც ამისთვის შეადგენენ კომმისსიებს. ამ კომმისსიებმა დაწვრილებითი ანგარიში უნდა წარმოუდგინოს მომავალს კრებას, რომელიც საშუალების-დაგვარათ ხელს მოჰკიდებს მოხსენებულ წინადადებების შესრულებას. დაბოლოებით არც ერთი ეს წინადადება მიღებული არ არის. მაგრამ ის ჰაზრი წარმოსთქვა, რომ თუ მომავალ კრებაში დავინახეთ, რომ რომლისამე ამ წინადადებათაგანისა დაკმაყოფილება აღემატება ჩვენ შეძლებას, ვერ მივიღებთო. ამ კომმისსიებში კერძო პირებიც, საქმის მცოდნენი, მიწვეულნი უნდა იქნენ, ვისაც ზედამხედველი კომიტეტი და ბანკის სამმართველო დაინახავს საჭიროთ; კომმისიამ, ახალის საკუთარი სახლის მოპოების გარდა, სხვა საშუალებაც მოჰსძებნოს იქნება რამეო.

ზედამხედველს კომიტეტს მისცა კრებამ ათასი მანეთის დახარჯვის ნება, რომ მიეცესთ ღარიბ მოსწავლეებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისა, ვისაც ის დაინახავს ღირსეულათ.

ა. ჯ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

დღიური

*** ამ ხუთშაბათს ქალაქის რჩევაში ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი საგანი იყო უფ. ელიმირზოვის წინადადებანი სხვა-და-სხვა საგნების შესახებ. ეს საგნები არიან: ა). რადგან ყოველი ქრისტიანისათვის ძვირფასია თავის მიცვალებულის საფლავი, ამის გამო ქალაქმა ხელი არ უნდა ახლოს იმ საფლაოებს, რომელნიც ახლა იხურებიანო;

ბ). საჭიროა ცხენის რკინის გზის გამართვა ქალაქიდამ ნავთლუღამდის, სადაც ყველა სასაფლაოები გადატანილი უნდა იქნესო;

გ). საჭიროა, რომ ქალაქის საავათმყოფო დაიწყროს და პოლონიიდამ ნავთლუხში გადაიტანოს, რადგან ამ საავათმყოფოს ქალაქის ჯანმთელობაზე მავნებელი გავლენა აქვსო;

დ). იმ შენობაში, რომელშიაც ახლა ეს ქალაქის საავათმყოფო იმყოფება, გაიმართოს კომმერციული სასწავლებელი, რომელიც ძალიან საჭიროა თფილისისათვისო.

ამას გარდა უფ. ხმოვანმა ელიმირზოვმა მოიხსენა კიდევ ორი საგანი ქალაქში წყლის გაყვანაზე და ღამის ყარაულების დანიშვნაზე, რომლის სისრულეში მოყვანა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხისათვისაო.

უფ. ელიმირზოვმა ითხოვა, რომ ქალაქის რჩევამ ყველა ამ წინადადების განსახილველად დანიშნოს ცალკე კომისია.

კომისიის დანიშვნის დროს ხმოვანმა ხარაზოვმა შეიტანა წინადადება, რომ კომისიის წევრებს რჩევამ ქალაქის ხაზინიდამ ცოტა რამე ჯილდო მაინც დაუნიშნოსო თავის შრომისათვისაო. მაგრამ ამის წინააღმდეგ ხმ. ალადათოვ-

ფელტონი

შვილდ-ისრით ნადირობა

ქუთაისის ბანკის კრებაზე

სანადირო ველს წარმოადგენ ანანოვის სახლის ზალა, არც დიდი და არც პატარა, სადაც ძლივს გაჭირებით და ურთიერთის ფეხებზე დაჭერებით შეიძლება ოთხასამდე კაცი მოთავსდეს.

ერთი მეოთხედი ზალისა სათეატრო სცენას უჭირავს, სადაც ჩვენებური და სომხური სცენის მოყვარეთა წრენი, ორ-სამ კვირაში ერთხელ, წარმოდგენებს მართავენ ხოლმე.

დღეს კი ამ სცენაზე მოთამაშეებათ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ორი წევრი გამოსულან.

აი ამათზედ მინდა გავინადირო დღეს, და ამისთვის ნურას უკაცრავათ, ბატონო თავად-აზნაურობავ, თუ ამ ჰაზრით შემოსული ვარ თქვენ იმ დროს, როდესაც თქვენ ვითომ საქვეყნო საქმეების გარდასაწყვეტათ მოუწვევიხართ...

აფსუს, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ამ ორი ჩლუნის, ანუ როგორც ჩვენში ეტყვიან „ჩნელის“ სცენიკური ტალანტები ასე ფუჭათ და უნაყოფოთ იმარხება! მე მიკვირს, რომ ზემო ნახსენები სცენის მოყვარენი არ ჩაითრევენ იმათაცა თავიანთ შორის, რომ ნამდვილის სცენიდამ დაინახოს ისინი ჩვენმა თავად-აზნაურობამ!

აფსუს, მე და ჩემმა ღმერთმა, აფსუს.

ჩვენი შრომის თანამოზიარეს უფ. პორტის მიხედვით, ამ ორთა პატივცემულ გვამთ ესრედ-ხსენებულ ვითარებას გამოეხატავ შემდეგის ლექსით:

რაჭველია, მართალია,
პირში უძევს სათქმელია;
თავი უხურს, ენა ებმის,
ლაპარაკსაც მიტომ ებრძის.

—

მეგრელია, ფულის საქმე
ისე იცის, როგორც წყალი!
„—ვილუპებით, თუ მკითხამთ მე;
„მაგრამ მე არ დამდოთ ბრალი!“

ეს ორი საჩემ-შვილდ-ისრო ნადირნი არიან, რომელთაც დღეს დანარჩენ ფარას მოსცილებიან, აგერ გამჯდარან განზე, რომ უფრო უკეთ მიზანში ამოსაღები მექმნენ. და აი ესენი არიან იმისთანა ტალანტები, რომელთაც, თუ ამ ბანკის თაობაზე კრება არა, ჩვენ იმათ ვერ ვნახავდით სცენებზე. ამიტომაც ეკარგებათ მათს თამაშს და სიტყვას საზოგადოების ხასიათის და ყოფაქცევის გამამშვენებელი მნიშვნელობა. . .

სამი დღეა უდარაჯებ ამ ორ ნადირს; დღეს კი მესამე დღეა და როგორც იქნა შევისწარი ისინი იმისთანა დროს და ადგილს, რომ ჩემს შვილდ-ისარს ვერსად წაუვლენ...

თავმჯდომარე კრებისა აცხადებს, რომ ორი წევრი ზედამხედველი კომიტეტისა უნდა გამოვიდნენ წილის-ყრით და იმათ მაგიერ ორი სხვა უნდა იქნენ ამორჩეულნი.

კომიტეტის წევრი, უ.—ლუა თავმჯდომარეს სთხოვს სიტყვას.

— ბატონებო, მიჰმართავს უ.—ლუა, საზოგადოებას, რადგან ძრიელ საჭირო საქმე დაგრჩათ განუხილველი (ბანკის წესდების შეცვლა), შეიძლებთ თავის შეყრას ამ ცოტას ხანში, რომ დაენიშნოთ კრება, თუ არა?—

ერთი ამბობს—კი! მეორე—ვერა! მესამე—თუ „ინგლიჩნები“ ოდიშში არ გვესტუმრენ, ამ ერთითვის შემდეგ ისევ გიახლებით! მეოთხე ამბობს—გარდავდოთ მერმის მაისამდინ და რადგან მაშინ მარშლების ამორჩევაც იქნება, უფრო მეტი შევიკრიბებით! და სხვ.

უმეტესი ნაწილი ხმებისა ამ მეოთხეს ეთანხმება ასე, რომ უ —ლუას განზრახვა ვერ სრულდება.

— მაშ თუ ასეა, უმორჩილესად გთხოვთ, უ. თავმჯდომარევ, წაიკითხოთ ის წერილი.

უ.—ლუა თავმჯდომარეს თავის ბარათს აძლევს.

მა სამართლიანდ სთქვა, რომ ქალაქის დეპუტატების მოვალეობა და წოდება თხოულობსო, რომ მუქთად იშრომონ ქალაქისთვისაო და ამის შემდეგ რჩევამ უარჰყო უფ. ხარაზოვის წინადადება.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ იქაური საადგილ-მამულო თავად-აზნაურთა ბანკის 1876 და 1877 წლების ანგარიში.

ამ მოკლე ხანში მოვიყვანთ ამ „ანგარიშიდამ“ შემოკლებით ცნობებს ხსენებული ბანკის წლისა და ნახევარის წარმოების თაობაზედ.

*** ოქუმიდამ (სოხუმის მაზრიდამ) გვწერენ, რომ ამ მაზრაში ამ ქამად სულ 5,000 ჩერქეზიარის დარჩენილიო, მაგრამ იმათი მდგომარეობა ძალიან საცოდავი და ცუდი არისო, რადგან არც სახლ-კარი მოეძევებათ და არც სასმელ-საჭმელიო.

*** გაზეთს „ივერიაში“ იწერებიან:

„სამშაბათს, 16 მაისს, შეიკრიბა განმგებელი კომიტეტი „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის.“ კომიტეტმა ყველაზედ უწინარეს გარდასწყვიტა მოიყვანოს ცნობაში—თუ რამდენი ფული აქვს, ან ექნება ამ ქამად საზოგადოებას და ამისათვის მოიწვიოს საზოგადოების წევრნი, რათა შემოიტანონ დროზედ საწევრო ფული და აგრეთვე ცნობაში მოიყვანოს თუ თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკს რამდენი ფული შეუძლიან შესწიროს წრეულ ამა საზოგადოებას.

„კომიტეტმა ხაზინადრად ამოირჩია უფ. ვ. თულაშვილი, რომელსაც უნდა მიჰმართოს (თფილისის ოლქის სასამართლოში) ვისაც ჰსურს საზოგადოების წევრად ჩაირიცხოს და ყოველგვარი შეწირვა შემოიტანოს. გარდა ამისა მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ აგრეთვე სეკრეტარს ნ. ქანანოვს. („ივერიის“ რედაქციაში) და კომიტეტის თვითოეულის წევრს: თ. დ. ავალოვს (თავად-აზნაურთა ბანკში), ლ. მაღალაშვილს, დ. ერისთავს, ი. ზოგებაშვილს და ნ. ცხვედაძეს.“

ომის ამბები

ომის შემდეგ

გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ორი ტელეგრამმა:

„თ ფ ი ლ ი ს ი, 10 მაისს. 4-ს მაისს „ბოლოსის“ კორესპონდენტი უ. ბ. წერეთელი მივიდა ჩურუქ-სუდამ (ქობულეთიდამ) ბათუმში. ეგვიპტეს პრინცი ჰასსანი მოვიდა ბათუმში ინგლისის ლენერლებითა და აფიცრებით; იმან მოიტანა ხონთქრის ფირმანი, რომელშიაც სულთანი აბდულ-ბამიდი დიდ მადლობას უცხადებს ქობულეთლებს ერთგული და მტკიცე სამსახურისათვის და არწმუნებს (ჰპირდება) იმათ, რომ რუსების ხელში არ ჩააგდებს იმათ ქვეყანას.“

„თ ფ ი ლ ი ს ი, 11 მაისს. ლერვიშ-ფაშის განკარგულებით, წერეთელი გამოისტუმრეს ბათუმიდამ, რადგან იქ მისულა ეგვიპტეს პრინცი ჰასსანი ინგლისის ლენერლებითა. უფ. წერეთელი იწერება, რომ პრინცმა ჰასსანმა 5 მაისს დახედა ბათუმში მყოფი ოსმალეთის ჯარი და კმაყოფილი დარჩა როგორც სამხედრო საქმის ცოდნით, აგრეთვე იმათი ჯანმთელობითაო. შემდეგ პრინცმა და ინგლისის ლენერლებმა დაათვალიერეს ციხის-ძირის სიმაგრეები და პოზიციები და დარწმუნდნენო, რომ ეს სიმაგრები ყველაფერში აკმაყოფილებენ სამხედრო მეცნიერების მოთხოვნილებასაო.“

—

ვენიდამ იწერებიან ლონდონის გაზეთს „Times-ში 12 მაისს:

„აქ მოვიდა სტამბოლიდამ ამბავი, რომ ინგლისმა, ავსტრიამ და ოსმალეთმა პირობა შეჰკრეს ერთმანერთში, რომ თანხმობით და ერთად იმოქმედონ. დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუ კონგრესსმა ვერა გაარიგა-რა და ომი ატყდა, ეს სამი სახელმწიფო ერთად შეებმიან რუსეთსაო.“

—

ამავე გაზეთის ბერლინელი კორრესპონდენტი იწერება:

„მე შევიტყე, რომ, გრაფ შუვალოვთან მოლაპარაკების შემდეგ, თ. ბისმარკმა მისწერა დეპეშა ბერმანიის ინგლისელ ელჩს მიუნსტერს: რომ ნახოს ბ. ბ. კის სალსბერი და დაეხმაროს გრ. შუვალოვს, რომ ინგლისი დათანხმდეს რუსეთის წინადადებაზედ.“

—

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“

თავსმჯდომარე ჯერ თავისთვის წაიკითხავს წერილს და შემდეგ გამოაცხადებს:

— უ.—ლუა მთხოვს გარდმოგცეთ, რომ მას დღეის შემდეგ არ ჰსურს დარჩეს ზედამხედველი კომიტეტის წევრად.

— მიზეზი, ბატონო? რამდენიმე წევრი საზოგადოებისა ჰკითხავს უ.—ლუარ.

— მე აგიხსენით, ბატონებო, რა მიზეზისთვისაც გამოვედიეარ და თუ გნებავთ კიდევ განგიმეორებთ....

ამ დროს ისხლეტს ჩემი ისარიც, რადგან შვილდს ერთობ დიდი ძალა დადგომია, გაექანება სცენისაკენ და იქიდამ დაბრუნებულს მოაქვს ჩემთან დაჯღაბნილი ქაღალდი, რომელზედაც შემდეგი ლექსი ძლივს გაგვირკვევია:

ბატონებო, ვიღუპებით!
მაგრამ ჩვენ არა გვიშავს-რა...
თქვენისა და ღვთის წყალობით
ბანკს არ დაუშავდება-რა!

—

ბატონებო გაგვიგონეთ:
ჩვენი ბანკი ილუპება!
მაგრამ გთხოვთ, რომ არ შეშინდეთ,
საქმე მალე გასწორდება...

—

ბატონებო, გთხოვთ გამიშვათ,
ამ საქმეში არ მაქვს ბრალი;
მაგრამ გთხოვთ კი, რომ ჩემზე თქვათ:
„—იყო კაცი მართლის მთქმელი!“

— რა გაეწყობა, ბატონო, მიბრძანდით, მაგრამ სხვიმის კი არ გეთხოვო, რომ „ზედამხედველი კომიტეტის წევრათ მაინც ამომირჩიეთო“.

— მე, ბატონებო, უ.—ლუამ დამასწრო, თორემ იმაზე ადრე მინდოდა გამომეცხადებინა, რომ გაგენთავისუფლებინეთ ამ თანამდებობისაგან...

ზალაში სიჩუმეა. ამას კაცი არ კითხავს—თუ რა პატიესადები მიზეზი აქვს, რომ ისიც გამოდის „ჩნელობისაგან“... ამასაც მხოლოდ ის მიატანეს—რომ თუ არ გინდოდა, შე დალოცვილო, „ქვე“ რაზე გვაწუხებდი ამომირჩიეთო...

ასე წარვიდნენ და განქრენ ის გვამები, რომელთაგანს ერთს-ერთ-დროს, საზოგადოებისა მეტის-მეტი სამსახურის გულ-მხურვალეობისათვის კინაღამ გულსაკინწი შეაგლიჯეს და მეორემ კი ქვეყანა ჩამოპოტნა—ამომირჩიეთ მე, თორემ ბანკი დაიღუპებაო!

აფსუს! რა ბრმა კენჭები ყოფილა, რომელნიც თქვენ გირჩევდნენ, რომ შავი ნახვრეტი ვერ უნახავთ...

— ორი წავიდა, მაშ წილის-ყრა რაღათ გვინდა?—კენჭი! კენკი, ბატონო! შეიქნა ყვირილი.

ნეტავი თქვენ, როგორ გიყვართ „კენჭი!“

კენჭი ჩვენი თავად-აზნაურობის სარკე შეიქნა. ნეტავი კენჭი რომ უყვარს მას, ისე სხვა რამ უყვარდეს! მგონი, სიზმარშიაც და ცხადშიაც სულ კენჭზე ჰფიქრობს, ოღონდ ჯერ-ჯერობით სიმღერა არ შეუთხზავს, რომ ზედ მუდამ ამ ლექსს ამღერებდეს:

კენჭი მიყვარს, კენჭი მე!
კენჭის სულის ჭირიმე!

—

კენჭი მინდა შავი მე,
შავი სხვისთვის, თეთრი მე!

—

მიყვარს კენჭის ტრიალი,
იმით გაშავებული.

—

კენჭო, შენი სულისა
რამე მითხარ გულისა!...

—

მითხარ რა ხარ, რა ხისა?
ბათლილი ხარ შვინდისა!..

—

ვინ გაგთალა, ვინაო,
ჩემო შავ კენჭუნაო?

—

კენჭო, შენი სიშავე!
მითხარ რა დაგიშავე?!

—

თეთრი შავათ მიქცია,
დღე ღამეთ გარდმიქცია?!

შვილდ-ისრული

ქუთაისი, 16 მაისი

დაბეჭდილი ბერლინიდამ 12 მაისს მიღებული დეპეშა გვაცნობებს:

„ახალი წინადადება რუსეთისა მდგომარეობს შემდგომში: ბოლგარიის შინაგან განწყობილების ზედამხედველად იქნებიან ევროპის უმთავრეს სახემწიფოებისაგან დანიშნული აგენტები; მცირე აზიაში ყველა სახელმწიფოს (განსაკუთრებით ინგლისს) მიეცემა თავისუფალი გზა ტრაპიზონიდამ არზრუმზე და ბაიაზეთზე სპარსეთის საზღვრამდინ გაგზავნონ თავიანთი საქონელი.

„ამბობენ, რომ კონგრესსი, ბერლინში კი არა, ბადენ-ბადენში შეიკრიბებაო.“

—

შაიხ შერიფს (უმაღლეს სასულიერო პირს) გამოუცია ყველა მაჰმადიანების-მიმართ ეპისტოლე, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ მაჰმადიანობა დიდს შიშში არის და ვისაც თოფის აღება შეგიძლიანთ, საბრძოლველათ დაემზადენითო. ეს ეპისტოლე რამდენიმე ასი ათასი ეგზემპლიარი დაუბეჭდიათ და სხვათა შორის მცირე აზიაში და არაბეთში დაურიგებიათ ხალხისათვის.

უკანასკნელი სიტყვა „ობზორს“

. . . ორიოდე უკანასკნელ სიტყვას ვამბობთ კიდევ იმ შენიშნვის გამო, რომელიც „ობზორის“ მე-133 ნომერშია დაბეჭდილი.

უფ. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ „არასოდეს არც ერთი გირაოს ფურცელი ჩვენი ბანკებისა 93—95 მანეთად არ გაჰყიდულაო.“

საუბედუროთ, ჩვენ არა გვაქვს ხელში 1875—1876 წლის რუსული გაზეთები; მაგრამ მაგიერად გვაქვს „დროება“, რომელშიაც ჩვენ მუდამ ფ„ინანსიურ მიმოხილვიდამ“ ან „ბირჟის უწყებებიდამ“ მოგვყავდა ხოლმე ცნობები—თუ როგორ ისყიდებოდა მაშინ პეტერბურღის ბირჟაზე ჩვენი გირაოს ფურცლები.

ამ ცნობებიდამ სჩანს (მობრძანდით, უფ. ნიკოლაძე, რედაქციაში და გიჩვენებთ), რომ 1875 წელს 14 აგვისტოს პირველად გაიყიდა თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლები—94 მანეთად და 40 კაპეიკად. ამავე წელს სექტემბერში რამდენჯერმე 93 მანეთად გასაღდა; შემდეგ 4 ღვინობისთვეს რამდენიმე ფურცელი გაისყიდა-95 მანეთად. 1876 წელს რამდენმეჯერ იანვარში და აპრილში გაიყიდა 94 მანეთად. ამავე წელს 3 ენკენისთვეს გაიყიდა 90 მან. და სხვ. ახლაც ხომ ამ ფასად ისყიდება!

ეს ბანკირის როზენტალის ფოკუსები იყოვო, ბრძანებთ თქვენ. ამ ნაირად მოტყუილება ერთხელ და ორჯელ შეიძლება, ვთქვათ; მაგრამ მუდამ, ორი წლის განმავალობაში, ბირჟაზე, სადაც ყველანი ერთმანეთს თავიდამ კოჭებამდინ იცნობენ, განა შეიძლება?

დანარჩენი სიტყვები უფ. ნიკოლაძის შენიშვნისა არის ცარიელი სიტყვები, უაზრო რახა-რუხი ფრაზებისა, ჩვეულებრივი კვეხნა, კუდაბზიკობა, რომ იმის მეტს ლიტერატურის საქმე სხვას არავის ესმის, რომ ნამდვილი პოლემიზატორი ისა რის, სხვას ვის რა გაეგება და სხვ. და სხვ.

რასაკვირველია, ყველა ამაებზე მკითხველის თავის მოწყენა არა ღირს; ეს თვისება უფ. ნიკოლაძისა იმათაც კარგათ იციან.

ერთს ალაგას უფ. ნიკოლაძე ამბობს, რომ, ვითომ, სანამ ის „დროებაში“ სწერდა, მანამ ჩვენ იმას „გამოჩენილ“ (знаменитый) მწერალს ვეძახოდით და როცა „ობზორს“ მოკიდა ხელი, მაშინ კი ყველა თავის სწავლა დაჰკარგაო.“

ვთხოვთ უფ. ნიკოლაძეს: გვიჩვენოს როდის, სად დაუძახეთ ჩვენ იმას „გამოჩენილი მწერალი“? რამდენათაც გვახსოვს იმის, მწერლობაზე ჩვენ გვითქვამს, რომ ის ქართულად უფრო კ ა რ გ ა დ, სწერს, ვინემ რუსულად.

ს. მ.

განცხადებანი

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

(5—1

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიანის, (ქუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

(5—2)

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

ბატონიშვილი

ირაკლის პირველი დრო

ანუ თავდადება ქართველთა

გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.

ფასი ექვსი შაური

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 17 მაისს.	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	40
ფქვილი წითელი . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	13	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	30
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიაობის თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—ქალის და ობრეხტი—კბილის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Мая 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.